*დანართი №2*

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

**საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით**

**პროგრამა 1: ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი**
**პროგრამა 2: ლინგვისტიკა, მაგისტრატურა**
**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი
27-28. 12. 22

დასკვნის წარდგენის თარიღი

**31.01.2023**

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 6

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 21

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 21
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 48
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 60
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 67
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 88

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საჯარო სამართლის იურიდიული პირი სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 231187168 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ფხაკაძე, სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხვთისო მამისიმედიშვილი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ია ნაცვლიშვილი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სოსო გაზდელიანი, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 | პროგრამა 5 | პროგრამა 6 | პროგრამა 7 | პროგრამა 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ქართული ფილოლოგია | ლინგვისტიკა | | | | | | |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი | ფილოლოგიის მაგისტრი | | | | | | |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0232.1.1. ქართული ფილოლოგია | 0232.2.1. ლინგვისტიკა | | | | | | |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1] | | | | | | | | |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული | | | | | | |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 ECTS კრედიტი | 120 ECTS კრედიტი | | | | | | |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული; აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება: № | აკრედიტებული; აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება : № | | | | | | |

[1] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 231, 04.11.2011б. | 303, 02.08. 2012 б | | | | | | | |

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[2]

  სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებულია საბაკალავრო პროგრამა "ქართული ფილოლოგია" და სამაგისტრო პროგრამა "ლინგვისტიკა". ქართული ფილოლოგიის პროგრამა უნივერსიტეტისათვის ტრადიციული და ძირძველია. "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს. 2012 წელს აკრედიტაცია გაიარა "ტიპოლოგიური ლინგვისტიკისა და მთარგმნელობითი საქმის" სამაგისტრო პროგრამამ, რომელიც ამჟამად ფილოლოგიის კლასტერშია წარმოდგენილი, როგორც "ლინგვისტიკის" სამაგისტრო პროგრამა.

  ფილოლოგიის კლასტერში გერთიანებულ პროგრამებს აქვს ლოგიკური ბმულობა, თუმცა, ამავდროულად, წარმოადგენენ დამოუკიდებელ, ინდივიდუალურ პროგრამებს. კლასტერში გაერთიანების ძირითადი საფუძველი არის ფილოლოგიის დარგი, ამასთან, პროგრამები ამჟღავნებს სწავლისა და კვლევის ინდივიდუალურ პრობლემატიკას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 422001638917 (21/12/2022) თანახმად, 2022 წლის 27-28 დეკემბერს სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ფილოლოგიის კლასტერში შემავალი "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო პროგრამისა და "ლინგვისტიკის" სამაგისტრო პროგრამის შეფასების მიზნით შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, ხვთისო მამისიმედიშვილი, ნინო ფხაკაძე, ია ნაცვლიშვილი, სოსო გაზდელიანი. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ფილოლოგიის კლასტერში შემავალი პროგრამების მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

დასასრულს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას წარედგინა ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

---

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისია სტანდარტებთან.

  მეორე სტანდარტი შესაბამისია სტანდარტებთან.

  მესამე სტანდარტი შესაბამისია სტანდარტებთან.

  მეოთხე სტანდარტი შესაბამისია სტანდარტებთან.

  მეხუთე სტანდარტი შესაბამისია სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**

რეკომენდებულია, ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სტრუქტურაში აისახოს დარგისათვის მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებთან მოყვანის მიზნით მოხდეს სასწავლო კურსის შემოღება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში სწავლებაზე. მაგ. სასწავლო კურსი ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში.

რეკომენდებულია ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებთან მოყვანის მიზნით მოხდეს ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო კურსის შემოღება.

განახლდეს სასწავლო კურსებში გასაახლებელია ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა თანამედროვე გამოცემებით.

განახლდეს და შეივსოს სასწავლო კურსების შინაარსი თემებითა და საკითხებით.

„ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსში სწავლის შედეგები, დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) სილაბუსში აღიწეროს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად.

„ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის სილაბუსში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მითითებული იყოს დადგენილი წესისა და სტანდარტის მიხედვით (ავტორი, მონოგრაფიისა თუ სტატიის სათაური, ჟურნალის ან კრებულის დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი, გვერდები, თუ ელექტრონული სახით არის მიეთითოს ბმულიც).

„ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის სილაბუსიდან ამოღებული იქნეს პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი სამეცნიერო სტატიები და მათ ნაცვლად „ქართული ფოლკლორის“

სახელმძღვანელოში წარმოდგენილ საკითხებთან ერთად მიეთითოს უშუალოდ ფოლკლორის ნიმუშები, ცნობილი ქართული ხალხური ტექსტები, ქართული ფოლკლორის აღიარებული შედევრები.

„ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შეივსოს ქართული ხალხური პოეზიისა და, ზოგადად, ქართული ფოლკლორის აღიარებული ნიმუშების აკადემიური გამოცემებით.

„ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის შინაარსი დაემყაროს კურსის ძირითად სახელმძღვანელოს და არა სხვადასხვა პუბლიკაციებში განხილულ პრობლემატიკას, რადგან ის არ შეესაბამება სწავლების საფეხურს და კურსის სპეციფიკას.

რეკომენდებულია, რომ გადამუშავდეს სალექციო მასალა „ქართული ფოლკლორის“ სალექციო კურსში ისე, რომ ყველა ძირითადი ჟანრი მასში იყოს წარმოდგენილი შესაბამისი ტექსტებით.

„შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა შეივსოს მითოლოგიის დარგში აღიარებულ მკვლევართა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომებით, სახელდობრ: მირჩა ელიადე, მითის ასპექტები (2009); მირჩა ელიადე, მარადიული დაბრუნების მითი, არქეტიპები და განმეორებადობა (2017); მირჩა ელიადე, მითები, სიზმრები და მისტერიები (2018); ზურაბ კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია (1979); ზურაბ კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ტ. 2. (2016).

„შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის შინაარსში აისახოს მსოფლიო მითოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი თემები და საკითხები, როგორიც არის კოსმოგონიის ტიპები და მოდელები (შუამდინარული, ძველეგვიპტური, ინდური, ჩინური, ბერძნული, სკანდინავიური); ანთროპოგონიის ტიპები; ცივილიზაციის საწყისების მოპოვება; საკრალური ქორწინება; გარდაცვლილი და მკვდრეთით აღმდგარი ღვთაებები; მეფობის წარმოშობის მითოსი, მარადიული გაზაფხულის მითოსი, კუდიანთა მითოსი და სხვ.

„შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის რიდერიდან ამოღებული იყოს ოკულტური საზოგადოების გამოცემები და სასწავლო მასალა მთლიანად აკადემიურ და ავტორიტეტულ გამოცემებს დაემყაროს.

სასწავლო კურსი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია 2 შეივსოს თანამედროვე გამოცემებით, მაგ.: "ქართული რეალიზმის სათავეებთან", შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 http://literaturatmcodneoba.tsu.ge/qart,real-XIX.pdf; ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 https://rustaveli.org.ge/res/docs/2d19be6ee62a94051f1916b51553893a3b1a8520.pdf

გადამუშვდეს და განახლდეს სასწავლო კურსის, "მიმდინარე ლიტერატურული პროცესი", შინაარსი იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს საათობრივ ბადეს და დასახულ მიზნებს, აღმოიფხვრას ყოველკვირეული თემისა და ლიტერატურის მითითების, ლიტერატურის სრულყოფილად მითითებისა და სხვ. ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობები.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსში “ლიტერატურის თეორია” სტუდენტებისათვის შეთავაზებული იყოს ლიტერატურის თეორიის საკითხები, ხოლო ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები ცალკე სასწავლო კურსში აისახოს.

ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად რეკომენდებულია პროგრამაში თეორიული და შედარებითი ლინგვისტიკის დარგების - ფონეტიკა-ფონოლოგიისა და სემანტიკის სწავლების გაძლიერება სათანადო სასწავლო კურსებში. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსებით (ტიპოლოგიური ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები, ლინგვოსტილისტიკა) გათვალისწინებული საათები ცალკეული თემებისათვის აღნიშნული დარგების შესაბამისი მეცნიერული ცოდნის გადასაცემად არასაკმარისია.

სასწავლო კურსებში შეივსოს შინაარსის ასათვისებლად საჭირო ლიტერატურა მაგალითად, სოციოლინგვისტიკაში: ზ. კიკვიძე, სოციოლინგვისტიკური ნარკვევები. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2015. თ. ბოლქვაძე, ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა და ილიას „ივერია“, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011. თ. კიღურაძე, ენობრივი პოლიტიკა მრავალეთნიკურ სახელმწიფოში: მრავალენოვანი კონცეფცია უცხო ენების დიდაქტიკაში, თბილისი, 2010. ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიაში: თ. ბოლქვაძე, საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი, გამომცემლობა „უნივერსალი, 2018.

გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობები: ლინგვოკულტუროლოგიის სასწავლო კურსის სილაბუსში ერთ-ერთი თემის - ლინგვოკულტუროლოგიური სჯანი (სამეტყველო ეტიკეტის საკითხები) - ლიტერატურად დასახელებულია: დემეტრაძე, ი.(2015): ზოგი რამ ცემინებასა და ხველასთან დაკავშირებული სამეტყველო ეტიკეტის შესახებ: საენათმეცნიერო საუბრები, 38; გვ.44-51, რომელიც არ არის სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში.

რეკომენდებულია გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ტექნიკური აღჭურვილობა, შეივსოს პროგრამისათვის გათვალისწინებული აუდიტორიები ტექნიკით, მათ შორის, პრეზენტაციებისათვის საჭირო აღჭურვილობით (კომპიუტერები და პროექტორები, ჭკვიანი დაფები, ფართო მონიტორები და მისთ.).

რეკომენდებულია განახლდეს პროგრამის წიგნადი ფონდი თანამედროვე ლიტერატურით.

რეკომენდებულია, მეტი ყურადღება მიექცეს საკვალიფიკაციო ნაშრომების დაგეგმვას, განხორციელებასა და შესრულების ტექნიკურ მხარეს. ყურადღება მიექცეს ციტირების წესებს და ყველა გამოყენებული წყარო დამოწმებული იყოს შესაბამისი სამეცნიერო სტილის გამოყენებით როგორც ნაშრომის ძირითად ტექსტში, ისე - ბიბლიოგრაფიაში. გამოირიცხოს საკვალიფიკაციო ნაშრომებში არავალიდური/არააკადემიური/არარელევანტური წყაროების გამოყენება, ამასთან, შენარჩუნებული იყოს სამეცნიერო ენა და სტილი ნაშრომის შესრულებისას.

რეკომენდებულია, რომ სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ერთ-ერთი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყოს დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი და აღნიშნული საკითხი აისახოს შესაბამის რეგულაციაში.

რეკომენდებულია, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტებმა კითხვარების მეშვეობით ან სხვა გზით შეაფასონ სასწავლო კურსი, ხოლო შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების შედეგების ანალიზი და მათზე რეაგირება სავალდებულო წესით უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა. ამასთან, მიზანშეწონილია სტუდენტები აფასებდნენ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის განხორციელებას სპეციალური კითხვარით/არსებულ კითხვარში სპეციფიკური კითხვების ინტეგრირებით.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის პირდაპირი შეფასებისას გამოიყენოს შეფასების კომპონენტებიდან იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

სასურველია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში გაძლიერდეს პრაქტიკის კომპონენტი ექსპედიციებით, სასწავლო და კვლევითი აქტივობებით, სხვადასხვა სამთავრობო, არასამთავრობო, სასწავლო და კვლევითი ორგანიზაციების ჩართულობით.

სასურველია საბაკალავრო პროგრამაში სწავლისა და კვლევის ციფრული ინსტრუმენტების მეტად გათვალისწინება (მაგალითად, ციფრული ქართველოლოგიის თუნდაც არჩევით კურსად შეთავაზება).

ლინგვისტიკის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ლინგვისტური ცოდნის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა დამწერლობის ტიპოლოგიის/დამწერლობათმცოდნეობის კურსის გათვალისწინება, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტები მიიღებდნენ ინფორმაციას წერითი სისტემების, დამწერლობის განსხვავებული ტიპების შესახებ, რაც მათ მისცემდა ანბანური სისტემების ტიპოლოგიურ მახასიათებლების, უძველესი დამწერლობების დეკოდირების შესაძლებლობების შესახებ ცოდნას.

„შედარებითი მითოლოგიის“ სილაბუსში ლიტერატურა დამოწმებული იყოს ერთი საერთო პრინციპით.

„შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის სიიდან ამოღებული იქნეს ზოგიერთი ისეთი პუბლიკაცია, რომელიც სცილდება დარგის შინაარსს და არ შეესაბამება არც სწავლების საფეხურს და არც კურსის სპეციფიკას.

ამირანისა და პრომეთეს მსგავსება-განსხვავების შესახებ თვალსაზრისი, სასურველია, რომ სტუდენტებმა შეისწავლონ ზ. კიკნაძის წიგნიდან „ქართული ხალხური ეპოსი“ (2001, გვ. 39-40).

“მიმდინარე ლიტერატურული პროცესის” სასწავლო კურსის ლიტერატურა დამოწმებული იყოს საერთო პრინციპით.

სასურველია, ქართული ენის სასწავლო კურსების დასახელებები ფორმულირდეს ნუმერაციის გარეშე, მაგალითად არა ქართული ენა 4 (სინტაქსი), არამედ ქართული ენის სინტაქსი.

სასურველია, საგანში "აკადემიური წერა" გაძლიერდეს და დაიხვეწოს არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის პრაქტიკული კომპონენტები.

სასურველია პროგრამაში სწავლისა და კვლევის ციფრული ინსტრუმენტების მეტად გათვალისწინება (მაგალითად, ციფრული ქართველოლოგიის თუნდაც არჩევით კურსად შეთავაზება)

ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ლინგვისტური ცოდნის სრულყოფისათვის სასურველია დამწერლობის ტიპოლოგიის/დამწერლობათმცოდნეობის კურსის გათვალისწინება, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტები მიიღებდნენ ინფორმაციას წერითი სისტემების, დამწერლობის განსხვავებული ტიპების შესახებ, რაც მათ მისცემდა ანბანური სისტემების ტიპოლოგიურ მახასიათებლების, უძველესი დამწერლობების დეკოდირების შესაძლებლობების შესახებ ცოდნას.

სასურველია, სილაბუსებში გამოყენებული იყოს ლიტერატურის მითითების ერთგვარი წესი.

სასურველია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში პრაქტიკის გაძლიერება ექსპედიციების, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების საშუალებით.

დაიხვეწოს პრაქტიკული კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობების შეფასების წესი, რათა უზრუნველყოფილი იქნას სხვადასხვა სირთულის კომპონენტებისთვის (მაგალითად, დისკუსია, პრეზენტაცია, რეფერატი) ადეკვატური (სხადასხვაგვარი) ხვედრითი წილის მინიჭება და კონკრეტული სასწავლო კურსების სპეციფიკასთან მისადაგება.

სასურველია, პერსონალის შეფასების სისტემა, მათ შორის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა, საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისთვის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოამზადა არგუმენტირებული პასუხი. უნივერსიტეტი ეთანხმება

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

ექსპერტთა რეკომენდაციების ნაწილს, ხოლო ნაწილთან დაკავშირებით აქვს საკუთარი პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფი გულდასმით გაეცნო უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას და ზოგიერთი რეკომენდაცია შეცვალა და გადაამუშავა.

კერძოდ:

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის პირდაპირი შეფასებისას გამოიყენოს შეფასების კომპონენტებიდან იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

უნივერსიტეტის აზრით, პროგრამის ნიშნულები შეიძლება იყოს განპირობებული კომპლექსურად რამდენიმე სასწავლო კურსის შედეგით სხვადასხვა აქტივობით, რომლებიც გაწერილია შესაბამის სილაბუსებში. შესაბამისად, კონკრეტული სილაბუსის მიხედვით იზომება პროგრამის სწავლის შედეგები კონკრეტული დავალებების შეფასებით. ექსპერტებმა აღნიშნული რეკომენდაცია გადაიტანეს რჩევაში.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სტრუქტურაში აისახოს დარგისათვის მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებთან მოყვანის მიზნით მოხდეს სასწავლო კურსის შემოღება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში სწავლებაზე. მაგ. სასწავლო კურსი ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში.

რეკომენდებულია ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებთან მოყვანის მიზნით მოხდეს ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო კურსის შემოღება.

უნივერსიტეტი ნაწილობრივ იზიარებს რეკომენდაციებს და აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით სწავლებას უზრუნველყოფს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით არსებულ სასწავლო კურსებში დათმობილი დრო და გათვალისწინებული საკითხები. ექსპერტთა აზრით, აღნიშნული საკითხები დარგობრივი მახასიათებლით არის განსაზღვრული და მნიშვნელოვანია, სრულფასოვნად იყოს ასახული ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში.

რეკომენდაციები:

ლინგვისტიკის პროგრამის სწავლის შედეგებთან მოყვანის მიზნით მოხდეს ისეთი სასწავლო კურსების -ფონეტიკა, ფონოლოგია; სემანტიკა - შემოღება, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში მისაღები აუცილებელი ლინგვისტური ცოდნის სრულყოფას ბგერითი სისტემის მახასიათებლებისა და ფუნქციების, ენის სემანტიკური დონის მახასიათებლების შესახებ.

ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად რეკომენდებულია პროგრამაში თეორიული და შედარებითი ლინგვისტიკის დარგების - ფონეტიკა-ფონოლოგიისა და სემანტიკის სწავლების გაძლიერება სათანადო სასწავლო კურსებით. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსებით (ტიპოლოგიური ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები, ლინგვოსტილისტიკა) გათვალისწინებული საათები ცალკეული თემებისათვის აღნიშნული დარგების შესაბამისი მეცნიერული ცოდნის გადასაცემად არასაკმარისია.

უნივერსიტეტმა გააერთიანა აღნიშნული რეკომენდაციები. მათი აზრით, აღნიშნული საკითხების შესახებ ცალკე სასწავლო კურსების შემუშავება რთული იქნება, თუმცა შესაძლებელია, ლინგვისტიკის მიმართულებით სასწავლო კურსებში აღნიშნული საკითხების გაძლიერებულად სწავლება და დათმობილი საათების გაზრდა. ექსპერტებმა გადაამუშავეს და გააერთიანეს რეკომენდაციები შემდეგი ფორმულირებით:

ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად რეკომენდებულია პროგრამაში თეორიული და შედარებითი ლინგვისტიკის დარგების - ფონეტიკა-ფონოლოგიისა და სემანტიკის სწავლების გაძლიერება სათანადო სასწავლო კურსებში. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსებით (ტიპოლოგიური ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები, ლინგვოსტილისტიკა) გათვალისწინებული საათები ცალკეული თემებისათვის აღნიშნული დარგების შესაბამისი მეცნიერული ცოდნის გადასაცემად არასაკმარისია.

რეკომენდაციები:

განახლდეს სასწავლო კურსებში გასაახლებელია ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა თანამედროვე გამოცემებით.

განახლდეს და შეივსოს სასწავლო კურსების შინაარსი თემებითა და საკითხებით.

აღნიშნულ რეკომენდაციებს უნივერსიტეტი ეთანხმება.

რეკომენდაცია:

„ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსში სწავლის შედეგები, დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) სილაბუსში აღიწეროს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად.

აღნიშნულ რეკომენდაციასს უნივერსიტეტი არ ეთანხმება. ექსპერტთა აზრით, სწავლის შედეგები ასახული უნდა იყოს აწმყო დროში, როგორც ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და დარგობრივ მახასიათებელშია მოთხოვნილი და ისე, როგორც უნივერსიტეტის მიერ მომზადებული სხვა სასწავლო კურსების სილაბუსებშია წარმოდგენილი.

რეკომენდაცია:

„ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის სილაბუსში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მითითებული იყოს დადგენილი წესისა და სტანდარტის მიხედვით (ავტორი, მონოგრაფიისა თუ სტატიის სათაური, ჟურნალის ან კრებულის დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი, გვერდები, თუ ელექტრონული სახით არის მიეთითოს ბმულიც).

უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას.

რეკომენდაციები:

„ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის სილაბუსიდან ამოღებული იქნეს პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი სამეცნიერო სტატიები და მათ ნაცვლად „ქართული ფოლკლორის“ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ საკითხებთან ერთად მიეთითოს უშუალოდ ფოლკლორის ნიმუშები, ცნობილი ქართული ხალხური ტექსტები, ქართული ფოლკლორის აღიარებული შედევრები.

„ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შეივსოს ქართული ხალხური პოეზიისა და, ზოგადად, ქართული ფოლკლორის აღიარებული ნიმუშების აკადემიური გამოცემებით.

„ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის შინაარსი დაემყაროს კურსის ძირითად სახელმძღვანელოს და არა სხვადასხვა პუბლიკაციებში განხილულ პრობლემატიკას, რადგან ის არ შეესაბამება სწავლების საფეხურს და კურსის სპეციფიკას.

რეკომენდებულია, რომ გადამუშავდეს სალექციო მასალა „ქართული ფოლკლორის“ სალექციო კურსში ისე, რომ ყველა ძირითადი ჟანრი მასში იყოს წარმოდგენილი შესაბამისი ტექსტებით.

უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა შეხედულებას, რომ მნიშვნელოვანია შეივსოს და გადამუშავდეს სასწავლო კურსის შინაარსი და სასწავლო მასალა.

რეკომენდაციები:

„შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა შეივსოს მითოლოგიის დარგში აღიარებულ მკვლევართა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომებით, სახელდობრ: მირჩა ელიადე, მითის ასპქტები (2009); მირჩა ელიადე, მარადიული დაბრუნების მითი, არქეტიპები და განმეორებადობა (2017); მირჩა ელიადე, მითები, სიზმრები და მისტერიები (2018); ზურაბ კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია (1979); ზურაბ კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ტ. 2. (2016).

„შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის შინაარსში აისახოს მსოფლიო მითოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი თემები და საკითხები, როგორიც არის კოსმოგონიის ტიპები და მოდელები (შუამდინარული, ძველეგვიპტური, ინდური, ჩინური, ბერძნული, სკანდინავიური); ანთროპოგონიის ტიპები; ცივილიზაციის საწყისების მოპოვება; საკრალური ქორწინება; გარდაცვლილი და მკვდრეთით აღმდგარი ღვთაებები; მეფობის წარმოშობის მითოსი, მარადიული გაზაფხულის მითოსი, კუდიანთა მითოსი და სხვ.

„შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის რიდერიდან ამოღებული იყოს ოკულტური საზოგადოების გამოცემები და სასწავლო მასალა მთლიანად აკადემიურ და ავტორიტეტულ გამოცემებს დაემყაროს.

უნივერსიტეტი ძირითადად იზიარებს ექსპერტთა მოსაზრებას, რომ გადასამუშავებელი და შესავსებია სასწავლო კურსის შინაარსი და ლიტერატურა.

რეკომენდაცია:

სასწავლო კურსი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია 2 შეივსოს თანამედროვე გამოცემებით, მაგ.: “ქართული რეალიზმის სათავეებთან”, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 http://literaturatmcodneoba.tsu.ge/qart,real-XIX.pdf; ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 https://rustaveli.org.ge/res/docs/2d19be6ee62a94051f1916b51553893a3b1a8520.pdf

გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ.

რეკომენდაცია:

გადამუშვდეს და განახლდეს სასწავლო კურსის, “მიმდინარე ლიტერატურული პროცესი”, შინაარსი იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს საათობრივ ბადეს და დასახულ მიზნებს,

აღმოიფხვრას ყოველკვირეული თემისა და ლიტერატურის მითითების, ლიტერატურის სრულყოფილად მითითებისა და სხვ. ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობები.

უნივერსიტეტი ძირითადად იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას, რომ გადასამუშავებელია სასწავლო კურსის შინაარსი, აღმოსაფხვრელია ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობები, თუმცა, აღნიშნავს, რომ საგნის სპეციფიკა მოითხოვს, სასწავლო მასალა მუდმივად ახლდებოდეს. ექსპერტთა აზრით, სასწავლო კურსი შეასწავლის სტუდენტებს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს, თუმცა ამ მიმართულებით უკვე არსებობს სასწავლო და სამეცნიერო მასალა, რომელიც შესაძლებელია სასწავლო კურსში სათანადოდ იყოს ასახული.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსში "ლიტერატურის თეორია" სტუდენტებისათვის შეთავაზებული იყოს ლიტერატურის თეორიის საკითხები, ხოლო ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები ცალკე სასწავლო კურსში აისახოს.

უნივერსიტეტი არ ეთანხმება რეკომენდაციას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტები განმარტავენ, რომ რეკომენდაცია განპირობებულია დარგობრივი მახასიათებლით.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, საგანში "აკადემიური წერა" გაძლიერდეს და დაიხვწოს არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის პრაქტიკული კომპონენტები.

უნივერსიტეტი არ ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას და მიუთითებს, რომ სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია არგუმენტირებული ესეს შექმნის პრაქტიკული უნარების გამომუშავება. ექსპერტებმა რეკომენდაცია გადაამუშავეს და გადაიტანეს რჩევების კომპონენტში, რადგან საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია არგუმენტირებული ნაშრომის სწავლების პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება.

სასურველია, საგანში "აკადემიური წერა" გაძლიერდეს და დაიხვწოს არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის პრაქტიკული კომპონენტები.

რეკომენდაცია

სასწავლო კურსებში შეივსოს შინაარსის ასათვისებლად საჭირო ლიტერატურა მაგალითად, სოციოლინგვისტიკაში: ზ. კიკვიძე, სოციოლინგვისტიკური ნარკვევები. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2015. თ. ბოლქვაძე, ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა და ილიას „ივერია", თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი", 2011. თ. კიღურაძე, ენობრივი პოლიტიკა მრავალეთნიკურ სახელმწიფოში: მრავალენოვანი კონცეფცია უცხო ენების დიდაქტიკაში,

თბილისი, 2010. ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიაში: თ. ბოლქვაძე, საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი, გამომცემლობა „უნივერსალი, 2018.

გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ.

რეკომენდაცია:

გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობები: ლინგვოკულტუროლოგიის სასწავლო კურსის სილაბუსში ერთ-ერთი თემის - ლინგვოკულტუროლოგიური სჯანი (სამეტყველო ეტიკეტის საკითხები) - ლიტერატურად დასახელებულია: დემეტრაძე, ი.(2015): ზოგი რამ ცემინებასა და ხველასთან დაკავშირებული სამეტყველო ეტიკეტის შესახებ: საენათმეცნიერო საუბრები, 38; გვ.44-51, რომელიც არ არის სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში.

გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ.

რეკომენდაციებს:

რეკომენდებულია, პროგრამაზე თითოეულ სასწავლო კურსს ჰქონდეს სემესტრული გამოკითხვა, ჰქონდეს მას სავალდებულო ხასიათი და ამ გამოკითხვას ატარებდნენ არა თავად საგნის ხელმძღვანელები/ლექტორები, არამედ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. ამასთან, დაცული იყოს კონფიდენციალურობის პრინციპი და ობიექტურად გაანალიზდეს მიღებული შედეგები.

რეკომენდებულია, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტებმა კითხვარების მეშვეობით ან სხვა გზით შეაფასონ სასწავლო კურსი, ხოლო შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების შედეგების ანალიზი და მათზე რეაგირება სავალდებულო წესით უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა. ამასთან, მიზანშეწონილია სტუდენტები აფასებდნენ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის განხორციელებას სპეციალური კითხვარით/არსებულ კითხვარში სპეციფიკური კითხვების ინტეგრირებით.

უნივერსიტეტმა ერთობლივად უპასუხა და აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი პერიოდულად აწარმოებს სხვადასხვა სახის გამოკითხვას, მათ შორის, პერსონალის გამოკითხვას, ხოლო სტუდენტების გამოკითხვას აწარმოებს ლექტორი, რასაც კურსის განმავითარებელი ხასიათი აქვს. ლექტორი, თუ საჭიროდ თვლის, იმ შემთხვევაში გამოკითხვის შედეგებს მიაწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. პრობლემების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო კურსების და, ზოგადად, პროგრამის შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით. ექსპერტებმა გააერთიანეს ორი რეკომენდაცია. ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ძირითადი სასწავლო კურსების შეფასება მოხდეს არა საგნების ლექტორების, არამედ ხარისხის მართვის სამსახურის მიერ, რათა

უზრუნველყოფილი იყოს კონფიდენციალობის დაცვა, ობიექტური ანალიზი, განმავითარებელი შედეგი და სხვ.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ტექნიკური აღჭურვილობა, შეივსოს პროგრამისათვის გათვალისწინებული აუდიტორიები ტექნიკით, მათ შორის, პრეზენტაციებისათვის საჭირო აღჭურვილობით (კომპიუტერები და პროექტორები, ჭკვიანი დაფები, ფართო მონიტორები და მისთ.).

უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ სამაგისტრო საფეხურზე უნივერსიტეტში არსებული მატეერიალურ-ტექნიკური ბაზა და ტექნიკური აღჭურვილობანი სრულიად შესაბამისია მაგისტრანტების რაოდენობასთან დაკავშირებით, თუმცა უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს ტექნიკური მოწყობილობების განახლებას.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია განახლდეს პროგრამის წიგნადი ფონდი თანამედროვე ლიტერატურით.

უნივერსიტეტი ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, მეტი ყურადღება მიექცეს საკვალიფიკაციო ნაშრომების დაგეგმვას, განხორციელებასა და შესრულების ტექნიკურ მხარეს. ყურადღება მიექცეს ციტირების წესებს და ყველა გამოყენებული წყარო დამოწმებული იყოს შესაბამისი სამეცნიერო სტილის გამოყენებით როგორც ნაშრომის ძირითად ტექსტში, ისე - ბიბლიოგრაფიაში. გამოირიცხოს საკვალიფიკაციო ნაშრომებში არავალიდური/არააკადემიური/არარელევანტური წყაროების გამოყენება, ამასთან, შენარჩუნებული იყოს სამეცნიერო ენა და სტილი ნაშრომის შესრულებისას.

უნივერსიტეტი ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, რომ სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყოს მხოლოდ დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი.

უნივერსიტეტი აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ სამაგისტრო ნაშრომების ძირითადი ერთი ხელმძღვანელი ყოველთვის არის ფილოლოგიის დარგში, ხოლო მეორე ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მომიჯნავე დარგის მეცნიერი. ექსპერტების

აზრით, აღნიშნული პრაქტიკა სრულიად შეესაბამება სწავლების მიზანს. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით არსებობდეს რეგულაცია. შესაბამისად, გადამუშავდა რეკომენდაცია შემდეგი ფორმულირებით:

რეკომენდებულია, რომ სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ერთ-ერთი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყოს დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი და აღნიშნული საკითხი აისახოს შესაბამის რეგულაციაში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

**აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:**

**აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:**

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

| სტანდარტი/კომპონენტი | შეფასების მიდგომები |
|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტების შეფასება | კლასტერული |
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულია საბაკალავრო პროგრამა "ქართული ფილოლოგია" და სამაგისტრო პროგრამა "ლინგვისტიკა". ქართული ფილოლოგიის პროგრამა უნივერსიტეტისათვის ტრადიციული და ძირძველია. "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს. 2012 წელს აკრედიტაცია გაიარა "ტიპოლოგიური ლინგვისტიკისა და მთარგმნელობითი საქმის" სამაგისტრო პროგრამამ, რომელიც ამჟამად ფილოლოგიის კლასტერშია წარმოდგენილი, როგორც "ლინგვისტიკის" სამაგისტრო პროგრამა.

ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებს აქვს ლოგიკური ბმულობა, კერძოდ, ორივე პროგრამა არის ფილოლოგიის დარგის სწავლებაზე ორიენტირებული, ორივე პროგრამის მიზნები გამომდინარეობს ფილოლოგიური კომპეტენციების სწავლებიდან, საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების შესაბამისად. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნებით გათვალისწინებულია ფილოლოგიური ცოდნისა და უნარების გამომუშავება, ფილოლოგიური დარგის კომპეტენციების სწავლება. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია საერთოკლასტერული პერსპექტივიდან, ვინაიდან კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებს აქვთ საერთო მიზნები, თუმცა, ხაზგასასმელია ისიც, რომ ამავდროულად, წარმოადგენენ დამოუკიდებელ, ინდივიდუალურ პროგრამებს. კლასტერში გაერთიანების ძირითადი საფუძველი არის ფილოლოგიის დარგი, ამასთან, პროგრამები ამჟღავნებს სწავლისა და კვლევის ინდივიდუალურ პრობლემატიკას.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნები შეესაბამება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)[6]

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი სპეციალისტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში და შეძლებს ცოდნა გამოიყენოს სხვადასხვა სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, ასევე სკოლებში მასწავლებლის მომზადების დამატებითი პროგრამის გავლისა და სასერტიფიკატო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. პროგრამის მიზანს წარმოადგენს აგრეთვე კომპლექსური ცოდნის გადაცემა ფილოლოგიის დარგის ორივე მიმართულებით: ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით.

ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია რეალისტურად. შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს. პროგრამის მიზნები შეესაბამება ფილოლოგიის დარგის უმაღლესი განათლების მახასიათებელს. პროგრამის მიზნები ასევე შეესაბამება შრომით ბაზარს და არის მიღწევადი. პროგრამა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამა)

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ენათმეცნიერების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე, თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული კომპეტენციის, მაღალკვალიფიციური, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე ენათმეცნიერი, რომელიც გაიაზრებს სფეროს კომპლექსურობას, სპეციფიკას და იქნება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი სპეციალისტი. პროგრამა ორიენტირებულია ენათმეცნიერების დარგის კომპეტენციების გადაცემაზე, მათ შორის, ტიპოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, ტექსტის ლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ლინგვოსტილისტიკისა და გამოყენებითი ენათმეცნიერების აქტუალური საკითხების სწავლებაზე. სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებაზე.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია რეალისტურად, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს, შრომით ბაზარს და არის მიღწევადი. პროგრამის მიზნები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს.

---

[6] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საბაკალავრო პროგრამა ,,ქართული ფილოლოგია“
- სამაგისტრო პროგრამა ,,ლინგვისტიკა“
- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია, მიზნები, სტრატეგია www.tesau.edu.ge
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა www.tesau.edu.ge
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- თესაუ-ს ვებ გვერდი www.tesau.edu.ge
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- პროგრამების გარე შეფასებების ანალიზი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები** - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები** - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა** 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 3** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 4** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 5** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 6** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 7** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 8** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**შეფასება** [7]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი<br>1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)** | X | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამა)** | X | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამების სწავლის შედეგები აღწერს ფილოლოგიური დარგების ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. საბაკალავრო საფეხურზე პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია ქართული ფილოლოგიის, ენისა და ლიტერატურის პროფილით, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე ზოგადი ენათმეცნიერების პროფილით. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგები

[7] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

შესაბამისობაშია პროგრამების მიზნებთან, ასევე, ფილოლოგიური დარგების ცოდნის შეთვისებასთან და უნარების განვითარებასთან. პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება შრომით ბაზარს, დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და შესაძლებლობას იძლევა, კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელოს განათლების შემდეგ საფეხურზე. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგები არის რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები, მათ შორის, ქართული ფილოლოგიის შესახებ ფართო ცოდნა: ქართველური ენათმეცნიერების, ქართული სალიტერატორო ენის, დამწერლობათმცოდნეობის, ძველი და ახალი ქართული ენის სტრუქტურისა და ფუნქციონირების საბაზისო საკითხების შესახებ, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიისა და დიალექტოლოგიის შესახებ, ძველი, მეცხრამეტე და მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების ქართული მწერლობის განვითარების ძირითადი ასპექტების შესახებ, ქართული ლიტერატურის ჟანრობრივი და მხატვრული თავისებურებების შესახებ, ქართული ზეპირსიტყვიერების ძირითადი მახასიათებლების შესახებ, განიხილავს ქართული ლიტერატურის კავშირს მსოფლიო ლიტერატურულ პროცესთან. პროგრამის სწავლის შედეგს წარმაოდგენს ასევე კვლევითი ან პრაქტიკული ნაშრომების შექმნა.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელთან, არის რეალისტური და მიღწევადი, ითვალისწინებს შრომის ბაზარს და იძლევა შესაძლებლობას, კურსდამთავრებულმა სწავლა განაგრძოს შემდეგ საფეხურზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა** (ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამა)

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ენათმეცნიერების სიღრმისეულ, სისტემურ შესწავლას. სტუდენტებისათვის ენათმეცნიერებაში თეორიული ცოდნის, ენათმეცნირების ძირითადი მიმართულებების, სკოლების, თეორიული კონცეფციების, კვლევის მეთოდების, ენათა ტიპოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, სოციოლინგვისტიკის, გამოყენებითი ენათმეცნიერბის აქტუალური ცოდნის გადაცემას. თეორიული და ემპირიული ენათმეცნიერების მეთოდების გაცნობას სტუდენტებისათვის, ენის ცვლილების ენათმეცნიერულ და სოციოკულტურულ საკითხებს და სხვ. პროგრამის სწავლის შედეგებს წარმოადგენს ასევე საკვალიფიკაციო ნაშრომის შექმნა, რომელიც კრიტიკული ანალიზისა და თანამედროვე მეთოდოლოგიების საფუძველზე არის შექმნილი.

ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები არის რეალისტური და მიღწევადი, ითვალისწინებს შრომის ბაზარს და იძლევა შესაძლებლობას, კურსდამთავრებულმა სწავლა განაგრძოს შემდეგ საფეხურზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საბაკალავრო პროგრამა ,,ქართული ფილოლოგია“;

- მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა;

- სამაგისტრო პროგრამა ,,ლინგვისტიკა“ (სწავლის შედეგების რუკა, დანართი 2.; მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა;

- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაცია (მოქმედი პროგრამის შემთხვევაში);

- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;

- თვითშეფასების ანგარიში;

- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა** 1 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

……………

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** | X | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)** | X | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მოიცავს სწავლის შედეგების პერიოდულ შეფასებას. სწავლის შედეგების შეფასება ხდება შემდეგი მექანიზმებით: სასწავლო კურსის დაძლევის ძირითადი მექანიზმები; კვლევითი კომპონენტის აქტივობის შეფასების მექანიზმები.

პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ფარგლებში დაწესებულება, ასევე, აფასებს პროგრამის დასახული მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს თავად პროგრამის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს. აღნიშნული წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის არაპირდაპირ შეფასებას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დაწესებულებაში არსებული მექანიზმი ეყრდნობა აკრედიტაციის სახელმძღვანელოს მიხედვით რეკომენდირებულ მეთოდოლოგიას, თუმცა პროგრამის კონკრეტული შედეგის შეფასების პირდაპირ მეთოდად ითვალისწინებს განმამტკიცებელ სასწავლო კურსში (მესამე დონის სასწავლო კურსში) მითითებული შეფასების სქემის არა ერთ რომელიმე კონკრეტულ კომპონენტს/კონკრეტულ აქტივობას, არამედ სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებას, რაც არ არის რეკომენდირებული განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს მიხედვით. აღნიშნული სახელმძღვანელოს თანახმად "...პირდაპირი შეფასების მეთოდია ის, რომლის მეშვეობითაც მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების მეშვეობით. ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, პორტფოლიო, სიმულაცია, სალიცენზიო გამოცდა, საველე გამოცდილებისას ზედამხედველის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ.…სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება ვერ ჩაითვლება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებად, რადგან სასწავლო კურსის ქულა მოიცავს და აფასებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღმა ბევრ სხვა უნარსა და ცოდნასაც….. " (https://eqe.ge/res/docs/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AB%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A2%E1%83%99%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98.pdf). პროგრამის ხელმძღვანელებთან და დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არსებული მექანიზმის სრულად იმპლემენტაცია განხორციელდება მომავალში. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის პირდაპირი

შეფასებისას გამოიყენოს შეფასების კომპონენტებიდან იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)[8]

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საბაკალავრო პროგრამა ,,ქართული ფილოლოგია“ (სწავლის შედეგების რუკა, დანართი 2.; სწავლის შედეგების შეფასების რუკა (დანართი 3.; სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები კომპეტენციების მიხედვით, დანართი 5.)
- სამაგისტრო პროგრამა ,,ლინგვისტიკა“ (სწავლის შედეგების რუკა, დანართი 2.; სწავლის შედეგების შეფასების რუკა (დანართი 3.; სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები კომპეტენციების მიხედვით, დანართი 5.)
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი;
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალები (სტუდენტთა ნაშრომები);
- კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;

---

[8] საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. საჭიროების მიხედვით, პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის მწკრივები *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის პირდაპირი შეფასებისას გამოიყენოს შეფასების კომპონენტებიდან იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა** 1 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა** 2 (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

……………

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** | X | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)** | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სტრუქტურა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების დაგეგმვის, შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგიით. სტრუქტურა არის თანმიმდევრული და ლოგიკური, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საბაკალავრო პროგრამა შედგება 240 კრედიტისაგან, ხოლო სამაგისტრო პროგრამა - 120 კრედიტისაგან. ერთ სემესტრში არის 15 სასწავლო კვირა.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სტრუქტურები ძირითადად, შეესაბამება ფილოლოგიის შესაბამის დარგებსა და საფეხურებს, ამასთან, პროგრამას ახორციელებენ დარგის სპეციალისტები, თუმცა პროგრამები საჭიროებს სტრუქტურები დარგისათვის საჭირო სასწავლო კურსებით შევსებას საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობები დარგის კვალიფიკაციასთან.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგება 240 კრედიტისაგან. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო საგნებს, არჩევით საგნებს, საუნივერსიტეტო თავისუფალ-სავალდებულო და თავისუფალი არჩევით კომპონენტებს. პროგრამით გათვალიწინებული 240 კრედიტიდან საუნივერსიტეტო თავისუფალ-სავალდებულო კურსებს ეთმობა 35 კრედიტი; სფეროს სავალდებული სასწავლო კურსებს - 110 კრედიტი, სფეროს არჩევით კურსებს - 20 კრედიტი, თავისუფალ არჩევითი კურსებს - 5 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას - 10 კრედიტი. 60 კრედიტი გათვალისწინებულია დამატებითი (მაინორი) პროგრამის, ან თავისუფალი კურსების ასათვისებლად.

საუნივერსიტეტო კურსების ფარგლებში უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით სტუდენტებს სთავაზობს უცხო ენის: ინგლისური, გერმანული ან რუსული, 20 კრედიტის ფარგლებში კურსებს.

პროგრამის სტრუქტურა ძირითადად შეესაბამება მიზნებს და სწავლის შედეგებს, ასევე, ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელს. სწავლის მიზნებსა და შედეგებში აღნიშნულია, რომ პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ეროვნული ლიტერატურული ძეგლების ინტერპრეტირება და კონტექსტუალიზაცია მსოფლიო ლიტერატურასთან მიმართებით. თუმცა ქართული ლიტერატურის კავშირი მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებით არ არის საკრედიტაციოდ წარმოდგენილი სასწავლო კურსის/კურსების შესწავლის საგანი. პროგრამის სწავლის შედეგებში ასევე ასახულია ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების სწავლება, ლიტერატურათმცოდნეობის საკითხების კრიტიკული შეფასება და სხვ. თუმცა პროგრამის სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული ლიტერატურათმცოდნეობის სწავლება.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც 10 კრედიტიანია.

საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც თეორიულ კურსებში პრაქტიკული კომპონენტის, ან სასემინარო მუშაობით არის წარმოდგენილი. სასურველია, პროგრამაში გაძლიერდეს პრაქტიკის კომპონენტი ექსპედიციების, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დახმარებით.

სასურველია საბაკალავრო პროგრამაში სწავლისა და კვლევის ციფრული ინსტრუმენტების მეტად გათვალისწინება (მაგალითად, ციფრული ქართველოლოგიის თუნდაც არჩევით კურსად შეთავაზება).

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (ლინგვისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამა შედგება 120 კრედიტისაგან. სამაგისტრო პროგრამით გათვალიწინებული 120 კრედიტიდან 90 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს (სასწავლო კურსები - 80 კრედიტი, პრაქტიკა -10 კრედიტი), 30 კრედიტი - კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და საჯარო დაცვა).

პროგრამის სასწავლო კურსები, სულ 80 კრედიტი, დაყოფილია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტად - 60 კრედიტი და არჩევით კომპონენტად - 20 კრედიტი.

ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კომპონენტია პრაქტიკა, რომელიც მოიცავს თეორიულ სასწავლო კურსებში გათვალისწინებულ პრაქტიკულ/სასემინარო ნაწილს და პროფესიულ პრაქტიკას. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით სასწავლო პროგრამაში შეთავაზებულია შემდეგი სასწავლო კურსები: ,,უცხო ენა აკადემიური მიზნებისათვის (ინგლისური/გერმანული/რუსული)" და ,,სამეცნიერო ტექნიკური და პოლიტიკური დისკურსის თარგმანი".

ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში ისეთი სასწავლო კურსების გათვალისწინება, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში მისაღები აუცილებელი ლინგვისტური ცოდნის სრულყოფას ბგერითი სისტემის მახასიათებლებისა და ფუნქციების, ენის სემანტიკური დონის მახასიათებლების, დამწერლობის ტიპოლოგიის შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თესაუს ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარების და გაუქმების ინსტრუქცია";
- კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამები თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა/სასწავლო გეგმები;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით გათვალისწინებული აქტივობები და კომპონენტები, მაგალითად: უცხოენოვანი ლიტერატურის, სამეცნიერო სტატიების გამოყენება, უცხო ენაზე დარგობრივი საგნების არსებობა, პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შედარება საზღვარგარეთ არსებულ ანალოგიურ პროგრამებთან, პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესებში უცხოელი პროფესორების ჩართულობა და სხვა.

- პროფესიული პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** რეკომენდებულია, ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სტრუქტურაში აისახოს დარგისათვის მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა** 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

რეკომენდებულია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებთან მოყვანის მიზნით მოხდეს სასწავლო კურსის შემოღება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში სწავლებაზე. მაგ. სასწავლო კურსი ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში.

რეკომენდებულია ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებთან მოყვანის მიზნით მოხდეს ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო კურსის შემოღება.

**რჩევ(ებ)ი:**

სასურველია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში გაძლიერდეს პრაქტიკის კომპონენტი ექსპედიციებით, სასწავლო და კვლევითი აქტივობებით, სხვადასხვა სამთავრობო, არასამთავრობო, სასწავლო და კვლევითი ორგანიზაციების ჩართულობით.

სასურველია საბაკალავრო პროგრამაში სწავლისა და კვლევის ციფრული ინსტრუმენტების მეტად გათვალისწინება (მაგალითად, ციფრული ქართველოლოგიის თუნდაც არჩევით კურსად შეთავაზება).

**პროგრამა 2** (ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

ლინგვისტიკის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ლინგვისტური ცოდნის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა დამწერლობის ტიპოლოგიის/დამწერლობათმცოდნეობის კურსის გათვალისწინება, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტები მიიღებდნენ ინფორმაციას წერითი სისტემების, დამწერლობის განსხვავებული ტიპების შესახებ, რაც მათ მისცემდა ანბანური სისტემების ტიპოლოგიურ მახასიათებლების, უძველესი დამწერლობების დეკოდირების შესაძლებლობების შესახებ ცოდნას.

……………

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამა)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
|---|---|---|---|---|

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები წინა აკრედიტაციის დროს განსხვავებული სახელწოდებებით იყო წარმოდგენილი. „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამას ერქვა „ქართული ენა და ლიტერატურა“, ხოლო „ლინგვისტიკის“ სამაგისტრო პროგრამას „ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი საქმე“. ორივე პროგრამა იყო აკრედიტებული და ორივე პროგრამა არის ამჟამად მოქმედი. მიმდინარე აკრედიტაციისათვის ცვლილება არ შეხებია მხოლოდ პროგრამების სახელწოდებებს და მოდიფიცირება განიცადეს სასწავლო კურსებმაც. ორივე პროგრამა ძირითადად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ზოგიერთ სასწავლო კურსში არის მთელი რიგი ხარვეზები, რომელთა აღნიშვნა და რეკომენდაციების გაცემა ექსპერტებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა** 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების უმრავლესობა თავისი შინაარსითა და კრედიტების რაოდენობით ძირითადად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ძირითადად შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია, ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, ასევე საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება ამ სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

თუმცა პროგრამაში წარმოდგენილი ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსში არის ცალკეული ხარვეზები, რომლებიც შეიძლება დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს როგორც სასწავლო კურსის, ისე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისას.

სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში გასაახლებელია ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა თანამედროვე გამოცემებით, ასევე, გასაახლებელი და შესავსებია სასწავლო კურსების შინაარსი თემებითა და საკითხებით.

„ქართული ფოლკლორის" სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლის შედეგები არ არის აღწერილი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნებისა და დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად (იხ. ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელი უმაღლესი განათლების I და II საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები, 2021. გვ. 3-4). მნიშვნელოვანია, რომ „ქართული ფოლკლორის" სასწავლო კურსში სწავლის შედეგები, დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) სილაბუსში აღიწეროს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად.

„ქართული ფოლკლორის" სასწავლო კურსის სილაბუსში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა წარმოდგენილია არასწორად. გათვალისწინებული არ არის ლიტერატურის დამოწმების დადგენილი წესი და სტანდარტი. მნიშვნელოვანია, რომ „ქართული ფოლკლორის" სასწავლო კურსის სილაბუსში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მითითებული იყოს დადგენილი წესისა და სტანდარტის მიხედვით (ავტორი, მონოგრაფიისა თუ სტატიის სათაური, ჟურნალის ან კრებულის დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი, გვერდები, თუ ელექტრონული სახით არის მიეთითოს ბმულიც).

„ქართული ფოლკლორის" სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის სიაში გვხვდება როგორც ამ დარგში აღიარებული სახელმძღვანელო, ისე პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი სამეცნიერო სტატიები. მიგვაჩნია, რომ იმ სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტებს ეკითხებათ, სამეცნიერო სტატიების მითითება დაუშვებელია, რადგან მათში გამოთქმული თვალსაზრისი ზოგჯერ არც არის სამეცნიერო წრეებში გაზიარებული და არც კრედიტების რაოდენობა იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო კურსმა, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საკითხებისა და ფოლკლორის აღიარებული ნიმუშების შესწავლის გარდა, ბაკალავრიატის სტუდენტს დარგის სამეცნიერო კვლევებიც გააცნოს. სილაბუსში არ არის მითითებული ქართული ხალხური პოეზიისა და, ზოგადად, ქართული ფოლკლორის აღიარებული ნიმუშების აკადემიური გამოცემები. აქედან გამომდინარე, „ქართული ფოლკლორის" სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ნაწილობრივ თუ შეესაბამება სასწავლო კურსის სპეციფიკას. მნიშვნელოვანია, რომ „ქართული ფოლკლორის" სასწავლო კურსის ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შეივსოს ქართული ხალხური პოეზიისა და, ზოგადად, ქართული ფოლკლორის აღიარებული ნიმუშების აკადემიური გამოცემებით. მათ

შორის სილაბუსში აისახოს შემდეგი გამოცემები: ამირანიანი - ქართული ხალხური პროზა, II, თსუ გამომცემლობა (2019), ხალხური სიტყვიერება ტ. IV, ეთერიანი; აკაკი შანიძე, ხევსურული პოეზია, თსუ-ის გამომცემლობა, 2009. ხალხური პოეზიის ანთოლოგია, შედგენილი ზ. კიკნაძისა და ტ. მახაურის მიერ, 2010; რჩეული პოეტური ტექსტები ქართული ხალხური პოეზიის თორმეტტომეულიდან. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსის სილაბუსიდან ამოღებული იქნეს პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი სამეცნიერო სტატიები და მათ ნაცვლად „ქართული ფოლკლორის“ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ საკითხებთან ერთად მიეთითოს უშუალოდ ფოლკლორის ნიმუშები, ცნობილი ქართული ხალხური ტექსტები, ქართული ფოლკლორის აღიარებული შედევრები. სასწავლო კურსის შინაარსში, ყოველ ლექციაზე, რომლის ხანგრძლივობაც შეადგენს ერთ საათს, მითითებულია ერთმანეთისგან შინაარსობრივი თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული თემები და საკითხები, რომელთა უმრავლესობა ამოღებულია სხვადასხვა სტატიებიდან და განხილული არ არის კურსის სახელმძღვანელოში. მნიშვნელოანია, რომ „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის შინაარსი დაემყაროს კურსის ძირითად სახელმძღვანელოს და ლექციებზე განხილული იყოს ქართველი ხალხის ფოლკლორული შემოქმედება ჟანრების მიხედვით და არა სხვადასხვა პუბლიკაციებში ასახულ პრობლემატიკაზე დაყრდნობით. სრულიად ზედმეტია სილაბუსში შეტანილი შემდეგი თემები და საკითხები: ფოლკლორული ორგემაგე; ხეთამეტყველება; დალი და მონადირე ამირანის გურულ ვარიანტში „კალმახელა“; „მძლევარი“ და „მკვდართა მზე“; დემონური პერსონაჟები „რუსუდანიანში“; ასევე სრულიად ზედმეტია სილაბუსში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურაც, რადგან ის არ შეესაბამება სწავლების საფეხურს და კურსის სპეციფიკას. სალექციო თემატიკაში ასახული არ არის ქართული ფოლკლორული შემოქმედების ისეთი მნიშვნელოვანი ჟანრი, როგორიც არის საგმირო პოეზია. სილაბუსში არ არის წარმოდგენილი საგმირო პოეზიის ისეთი შედევრები, როგორიც არის „შემომეყარა ყივჩაღი“, „ვეფხვი და მოყმე“, „ბაღათერა; სატრფიალო პოეზიის შედევრები - „თავფარავნელი ჭაბუკი“, „ვაჟიკასა და ხვარამზეს ლექსი“ და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ გადამუშავდეს სალექციო მასალა „ქართული ფოლკლორის“ სალექციო კურსში ისე, რომ ყველა ძირითადი ჟანრი მეტ-ნაკლებად იყოს წარმოდგენილი შესაბამისი ტექსტებით.

მნიშვნელოვანი ხარვეზები დასტურდება ასევე „შედარებითი მითოლოგიის“ არჩევითი სასწავლო კურსის სილაბუსში, რადგან არც სავალდებულო და არც დამხმარე ლიტერატურაში არ არის შეტანილი მითოლოგიის დარგში აღიარებულ მკვლევართა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომები, სახელდობრ: მირჩა ელიადე, მითის ასპექტები (2009); მირჩა ელიადე, მარადიული დაბრუნების მითი, არქეტიპები და განმეორებადობა (2017); მირჩა ელიადე, მითები, სიზმრები და მისტერიები (2018); ზურაბ კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია (1979); ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ტ. 2. (2016). ამ წიგნების უმეტესობა არის გაციფრულებული და იძებნება ელექტრონული ვერსიები.

„შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა გადატვირთულია ისეთი პუბლიკაციებით, რომელთა შინაარსი და პრობლემატიკა ზოგჯერ კურსის მიზნებსაც სცილდება. ამდენად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ „შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის სავალდებულო და დამხმარე

ლიტერატურის სიიდან ამოღებული იქნეს ზოგიერთი ისეთი პუბლიკაცია, რომელიც სცილდება დარგის შინაარსს და არ შეესაბამება არც სწავლების საფეხურს და არც კურსის სპეციფიკას.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დათვალიერებისას ექსპერტებს მოგვეცა საშუალება გვენახა „შედარებითი მითოლოგიის“ კურსის რიდერი, რომელიც არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რადგან მასში შეტანილი იყო ოკულტური საზოგადოების ჟურნალში დაბეჭდილი მასალა. მიზანშეწონილია, რომ რიდერიდან ამოღებული იყოს ოკულტური საზოგადოების გამოცემები და სასწავლო მასალა მთლიანად აკადემიურ და ავტორიტეტულ გამოცემებს დაეყრდნოს.

მიგვაჩნია, რომ „შედარებითი მითოლოგიის“ კურსმა სტუდენტს უნდა მისცეს არა მხოლოდ სხვადასხვა მითოლოგიის ცოდნა, არამედ დასკვნაც, რომ ყველა მითოლოგიას აქვს რაღაც საერთო, რაშიც ისინი სავსებით თანხმობაში არიან ერთმანეთთან. აქედან გამომდინარე, „შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის შინაარსში ასახული უნდა იყოს მსოფლიო მითოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი თემები და საკითხები, როგორიც არის მითის განმარტებები; მითოლოგემები; მითების ფუნქცია; კოსმოგონიის ტიპები და მოდელები (შუამდინარული, ძველეგვიპტური, ინდური, ჩინური, ბერძნული, სკანდინავიური); ანთროპოგონიის ტიპები; ცივილიზაციის საწყისების მოპოვება; საკრალური ქორწინება; გარდაცვლილი და მკვდრეთით აღმდგარი ღვთაებები; მეფობის წარმოშობის მითოსი, მარადიული გაზაფხულის მითოსი, კუდიანთა მითოსი და სხვ. ამირანისა და პრომეთეს მსგავსება-განსხვავების შესახებ თვალსაზრისი, სასურველია, რომ სტუდენტებმა შეისწავლონ ზ. კიკნაძის წიგნიდან „ქართული ხალხური ეპოსი“ (2001, გვ. 39-40).

სასწავლო კურსი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია 2 შეივსოს თანამედროვე გამოცემებით, მაგ.: “ქართული რეალიზმის სათავეებთან”, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 http://literaturatmcodneoba.tsu.ge/qart,real-XIX.pdf ; ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 https://rustaveli.org.ge/res/docs/2d19be6ee62a94051f1916b51553893a3b1a8520.pdf

სასწავლო კურსის, “მიმდინარე ლიტერატურული პროცესი” გაცნობისას გამოიკვეთა, რომ ძირითად და დამატებით ლიტერატურაში ჩამოთვლილი წიგნები და კურსის შინაარსში მითითებული ნაშრომები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამასთან.. კურსის შინაარსი და თემატური ბადე დასახვეწია, იგი უნდა შეესაბამებოდეს საათობრივ დატვირთვას და ასევე, დასახულ მიზნებს.

სასწავლო კურსი “ლიტერატურის თეორია” შეიცავს როგორც საკუთრივ ლიტერატურის თეორიის, ისე ლიტერატურისმცოდნეობის საკითხები. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსში “ლიტერატურის თეორია” სტუდენტებისათვის შეთავაზებული იყოს ლიტერატურის თეორიის საკითხები, ხოლო ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები ცალკე სასწავლო კურსში აისახოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საბაკალავრო ნაშრომების გაცნობის დროს გამოიკვეთა შინაარსობრივი და ტექნიკური ხარვეზები ნაშრომის აგებულების, ციტირების წესის, ბიბლიოგრაფიის შედგენის, სამეცნიერო სტილისა და ლექსიკის მიმართულებით. დეტალურად იხ. 3. 1. მნიშვნელოვანია, საგანში "აკადემიური წერა" გაძლიერდეს და დაიხვეწოს არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის პრაქტიკული კომპონენტი.

სასურველია, ქართული ენის სასწავლო კურსების დასახელებები ფორმულირდეს ნუმერაციის გარეშე, მაგალითად არა ქართული ენა 4 (სინტაქსი), არამედ ქართული ენის სინტაქსი.

სასურველია პროგრამაში სწავლისა და კვლევის ციფრული ინსტრუმენტების მეტად გათვალისწინება (მაგალითად, ციფრული ქართველოლოგიის თუნდაც არჩევით კურსად შეთავაზება).

ვფიქრობთ, წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება სასწავლო კურსებს და მთლიანად საბაკალავრო პროგრამას დაეხმარება სწავლების შედეგის მიღწევაში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ლინგვისტიკის** სამაგისტრო პროგრამა)

ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ძირითადად უზრუნველყოფს ამ კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსები ხასიათდება ინდივიდუალური შინაარსობრივი ნიშნებით, ამავდროულად, ისინი კავშირშია ერთმანეთთან და კომპლექსურად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მეთოდოლოგიურად სასწავლო კურსები დაგეგმილია დარგობრივი ცოდნის შეძენის თანამიმდევრული სქემით, სასწავლო კურსის დასახელებები დარგში დამკვიდრებული კლასიფიკატორების ადეკვატურია.

ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში, რომელთა მიხედვითაც ნათელია სასწავლო კურსის სტატუსი, ECTS კრედიტი, დაშვების წინაპირობა, სწავლება/სწავლის შედეგები, სწავლება/სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, კურსის შინაარსი, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სასწავლო კურსებში აკადემიური კეთილსინდისიერების ასპექტის გაძლიერება, რაც აუცილებელია სრულფასოვანი სასწავლო და კვლევითი მუშაობის ჩასატარებლად. ინტერვიუებმა დაადასტურა როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების მხრიდან, რომ სილაბუსებში ასახული მონაცემები რეალისტურია.

ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსის ასათვისებლად მითითებული ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება სფეროს

მიღწევებს და უზრუნველყოფს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინება: პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად სასურველია პროგრამაში თეორიული და შედარებითი ლინგვისტიკის დარგების - ფონეტიკა-ფონოლოგიისა და სემანტიკის სწავლების გაძლიერება სათანადო სასწავლო კურსებით. ლინგვისტურ ცოდნაში ფონეტიკის როლს განსაზღვრავს ენისთვის ბგერითი სუბსტანციის პირველადობა, სამეტყველო ბგერათა ფუნქციონირების შესწავლის საჭიროებები. ენის სემანტიკური დონის სტრუქტურული მახასიათებლების შესწავლა კი ათვალსაჩინოებს ენისა და კულტურის მჭიდრო კავშირს. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსებით (ტიპოლოგიური ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები, ლინგვოსტილისტიკა) გათვალისწინებული საათები ცალკეული თემებისათვის აღნიშნული დარგების შესაბამისი მეცნიერული ცოდნის გადასაცემად არასაკმარისია.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ლინგვისტური ცოდნის სრულყოფისათვის ასევე მნიშვნელოვანი იქნებოდა დამწერლობის ტიპოლოგიის/დამწერლობათმცოდნეობის კურსის გათვალისწინება, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტები მიიღებდნენ ინფორმაციას წერითი სისტემების, დამწერლობის განსხვავებული ტიპების შესახებ, რაც მათ მისცემდა ანბანური სისტემების ტიპოლოგიური მახასიათებლების, უძველესი დამწერლობების დეკოდირების შესაძლებლობების შესახებ ცოდნას.

სასურველია სასწავლო კურსებში შეივსოს შინაარსის ასათვისებლად საჭირო ლიტერატურა მაგალითად, **სოციოლინგვისტიკაში**: ზ. კიკვიძე, სოციოლინგვისტიკური ნარკვევები. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2015. თ. ბოლქვაძე, ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა და ილიას „ივერია“, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011. თ. კიღურაძე, ენობრივი პოლიტიკა მრავალეთნიკურ სახელმწიფოში: მრავალენოვანი კონცეფცია უცხო ენების დიდაქტიკაში, თბილისი, 2010. **ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიაში**: თ. ბოლქვაძე, საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი, გამომცემლობა „უნივერსალი, 2018.

ზოგიერთ შემთხვევაში უნდა გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობები: **ლინგვოკულტუროლოგიის** სასწავლო კურსის სილაბუსში ერთ-ერთი თემის - ლინგვოკულტუროლოგიური სჯანი (სამეტყველო ეტიკეტის საკითხები) - ლიტერატურად დასახელებულია: დემეტრაძე, ი.(2015): ზოგი რამ ცემინებასა და ხველასთან დაკავშირებული სამეტყველო ეტიკეტის შესახებ: საენათმეცნიერო საუბრები, 38; გვ.44-51, რომელიც არ არის სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში.

ასევე, სასურველია, სილაბუსებში გამოყენებული იყოს ლიტერატურის მითითების ერთგვარი წესი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელი უმაღლესი განათლების I და II საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები, 2021. გვ. 3-4
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია;
- ინტერვიუს შედეგები
- თესაუ-ის ვებგვერი

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

რეკომენდებულია განახლდეს სასწავლო კურსებში გასაახლებელია ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა თანამედროვე გამოცემებით.

რეკომენდებულია განახლდეს და შეივსოს სასწავლო კურსების შინაარსი თემებითა და საკითხებით.

რეკომენდებულია „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსში სწავლის შედეგები, დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) სილაბუსში აღიწეროს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად.

რეკომენდებულია „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის სილაბუსში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მითითებული იყოს დადგენილი წესისა და სტანდარტის მიხედვით (ავტორი, მონოგრაფიისა თუ სტატიის სათაური, ჟურნალის ან კრებულის დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი, გვერდები, თუ ელექტრონული სახით არის მიეთითოს ბმულიც).

რეკომენდებულია „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის სილაბუსიდან ამოღებული იქნეს პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი სამეცნიერო სტატიები და მათ ნაცვლად „ქართული ფოლკლორის“ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ საკითხებთან ერთად მიეთითოს უშუალოდ ფოლკლორის ნიმუშები, ცნობილი ქართული ხალხური ტექსტები, ქართული ფოლკლორის აღიარებული შედევრები.

რეკომენდებულია „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შეივსოს ქართული ხალხური პოეზიისა და, ზოგადად, ქართული ფოლკლორის აღიარებული ნიმუშების აკადემიური გამოცემებით.

რეკომენდებულია „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსის შინაარსი დაემყაროს კურსის ძირითად სახელმძღვანელოს და არა სხვადასხვა პუბლიკაციებში განხილულ პრობლემატიკას, რადგან ის არ შეესაბამება სწავლების საფეხურს და კურსის სპეციფიკას.

რეკომენდებულია, რომ გადამუშავდეს სალექციო მასალა „ქართული ფოლკლორის“ სალექციო კურსში ისე, რომ ყველა ძირითადი ჟანრი მასში იყოს წარმოდგენილი შესაბამისი ტექსტებით.

რეკომენდებულია „შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა შეივსოს მითოლოგიის დარგში აღიარებულ მკვლევართა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომებით, სახელდობრ: მირჩა ელიადე, მითის ასპქტები (2009); მირჩა ელიადე, მარადიული დაბრუნების მითი, არქეტიპები და განმეორებადობა (2017); მირჩა ელიადე, მითები, სიზმრები და მისტერიები (2018); ზურაბ კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია (1979); ზურაბ კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ტ. 2. (2016).

რეკომენდებულია „შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის შინაარსში აისახოს მსოფლიო მითოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი თემები და საკითხები, როგორიც არის კოსმოგონიის ტიპები და მოდელები (შუამდინარული, ძველეგვიპტური, ინდური, ჩინური,

ბერძნული, სკანდინავიური); ანთროპოგონიის ტიპები; ცივილიზაციის საწყისების მოპოვება; საკრალური ქორწინება; გარდაცვლილი და მკვდრეთით აღმდგარი ღვთაებები; მეფობის წარმოშობის მითოსი, მარადიული გაზაფხულის მითოსი, კუდიანთა მითოსი და სხვ.

რეკომენდებულია „შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის რიდერიდან ამოღებული იყოს ოკულტური საზოგადოების გამოცემები და სასწავლო მასალა მთლიანად აკადემიურ და ავტორიტეტულ გამოცემებს დაემყაროს.

რეკომენდებულია სასწავლო კურსი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია 2 შეივსოს თანამედროვე გამოცემებით, მაგ.: “ქართული რეალიზმის სათავეებთან”, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 http://literaturatmcodneoba.tsu.ge/qart,real-XIX.pdf; ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015 https://rustaveli.org.ge/res/docs/2d19be6ee62a94051f1916b51553893a3b1a8520.pdf

რეკომენდებულია გადამუშვდეს და განახლდეს სასწავლო კურსის, “მიმდინარე ლიტერატურული პროცესი”, შინაარსი იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს საათობრივ ბადეს და დასახულ მიზნებს, აღმოიფხვრას ყოველკვირეული თემისა და ლიტერატურის მითითების, ლიტერატურის სრულყოფილად მითითებისა და სხვ. ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობები.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსში “ლიტერატურის თეორია” სტუდენტებისათვის შეთავაზებული იყოს ლიტერატურის თეორიის საკითხები, ხოლო ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები ცალკე სასწავლო კურსში აისახოს.

**რჩევ(ებ)ი:**

„შედარებითი მითოლოგიის“ სილაბუსში ლიტერატურა დამოწმებული იყოს ერთი საერთო პრინციპით.

„შედარებითი მითოლოგიის“ სასწავლო კურსის სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის სიიდან ამოღებული იქნეს ზოგიერთი ისეთი პუბლიკაცია, რომელიც სცილდება დარგის შინაარსს და არ შეესაბამება არც სწავლების საფეხურს და არც კურსის სპეციფიკას.

ამირანისა და პრომეთეს მსგავსება-განსხვავების შესახებ თვალსაზრისი, სასურველია, რომ სტუდენტებმა შეისწავლონ ზ. კიკნაძის წიგნიდან „ქართული ხალხური ეპოსი“ (2001, გვ. 39-40).

“მიმდინარე ლიტერატურული პროცესის” სასწავლო კურსის ლიტერატურა დამოწმებული იყოს საერთო პრინციპით.

სასურველია, საგანში “აკადემიური წერა” გაძლიერდეს და დაიხვწოს არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის პრაქტიკული კომპონენტები.

სასურველია, ქართული ენის სასწავლო კურსების დასახელებები ფორმულირდეს ნუმერაციის გარეშე, მაგალითად არა ქართული ენა 4 (სინტაქსი), არამედ ქართული ენის სინტაქსი.

სასურველია პროგრამაში სწავლისა და კვლევის ციფრული ინსტრუმენტების მეტად გათვალისწინება (მაგალითად, ციფრული ქართველოლოგიის თუნდაც არჩევით კურსად შეთავაზება)

**პროგრამა 2** (ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად რეკომენდებულია პროგრამაში თეორიული და შედარებითი ლინგვისტიკის დარგების - ფონეტიკა-ფონოლოგიისა და სემანტიკის სწავლების გაძლიერება სათანადო სასწავლო კურსებში. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსებით (ტიპოლოგიური ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები, ლინგვოსტილისტიკა) გათვალისწინებული საათები ცალკეული თემებისათვის აღნიშნული დარგების შესაბამისი მეცნიერული ცოდნის გადასაცემად არასაკმარისია.

სასწავლო კურსებში შეივსოს შინაარსის ასათვისებლად საჭირო ლიტერატურა მაგალითად, სოციოლინგვისტიკაში: ზ. კიკვიძე, სოციოლინგვისტიკური ნარკვევები. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2015. თ. ბოლქვაძე, ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა და ილიას „ივერია“, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011. თ. კიღურაძე, ენობრივი პოლიტიკა მრავალეთნიკურ სახელმწიფოში: მრავალენოვანი კონცეფცია უცხო ენების დიდაქტიკაში, თბილისი, 2010. ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიაში: თ. ბოლქვაძე, საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი, გამომცემლობა „უნივერსალი, 2018.

გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობები: ლინგვოკულტუროლოგიის სასწავლო კურსის სილაბუსში ერთ-ერთი თემის - ლინგვოკულტუროლოგიური სჯანი (სამეტყველო ეტიკეტის საკითხები) - ლიტერატურად დასახელებულია: დემეტრაძე, ი.(2015): ზოგი რამ ცემინებასა

და ხველასთან დაკავშირებული სამეტყველო ეტიკეტის შესახებ: საენათმეცნიერო საუბრები, 38; გვ.44-51, რომელიც არ არის სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში.

**რჩევ(ებ)ი:**

ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ლინგვისტური ცოდნის სრულყოფისათვის სასურველია დამწერლობის ტიპოლოგიის/დამწერლობათმცოდნეობის კურსის გათვალისწინება, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტები მიიღებდნენ ინფორმაციას წერითი სისტემების, დამწერლობის განსხვავებული ტიპების შესახებ, რაც მათ მისცემდა ანბანური სისტემების ტიპოლოგიურ მახასიათებლების, უძველესი დამწერლობების დეკოდირების შესაძლებლობების შესახებ ცოდნას.

სასურველია, სილაბუსებში გამოყენებული იყოს ლიტერატურის მითითების ერთგვარი წესი.

...............

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. იგი უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარისა და კომპეტენციის მქონე პირების მიღებას, გამჭვირვალეა და ითვალისწინებს სწავლების საფეხურს, პროგრამების

სპეციფიკას. საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა** 1 (**ქართული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა)

**ქართული ფილოლოგიის** საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლია საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი, ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და წარმატებით ჩააბარებს საქართველოს ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებულ საერთო ეროვნულ გამოცდებს.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ხორციელდება იმ პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე.

სტუდენტსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის ვალდებულებითი ურთიერთობები წესრიგდება შესაბამისი ხელშეკრულებით. სტუდენტი ვალდებულია, გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული/ფინანსური რეგისტრაცია.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა** 1 (**ლინგვისტიკის** სამაგისტრო პროგრამა)

**ლინგვისტიკის** საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ლინგვისტიკის** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება (ასევე შესაძლებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების დაკმაყოფილება);

სამაგისტრო პროგრამაზე დასაშვებად ტარდება შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობასა და უცხო ენაში; რომლებიც ადმინისტრირდება უნივერსიტეტის მიერ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) და ფასდება 100 ქულიანი სისტემით. უნივერისტეტს განსაზღვრული აქვს შესაბამისი გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულით.

მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხო ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა. კანდიდატი თავისუფლდება უცხო ენის გამოცდიდან მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში (საერთაშორისო აღიარებული ორგანიზაციების მიერ გაცემული სერტიფიკატი). უსდ-ს აქვს უცხო ენის B2 დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ზღვრების ნუსხა, რომელიც ცნობილია მაგისტრანტობის მსურველთათვის.

უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს დამატებითი პირობები კონკურსში თანაბარი შედეგების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის:

კონკურსის შემთხვევაში (თანაბარი ქულების დაგროვებისას) უპირატესობა მიენიჭება:

ა/. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას/პუბლიკაციას;

ბ/. ტრენინგს შესაბამის სფეროში;

გ/. განათლებას ჰუმანიტარული, სოციალური და განათლების მეცნიერებების მიმართულებით.

პროგრამაზე მიღების პირობების, საგამოცდო საკითხებისა და ჩატარების წესის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია. ვაკანტური ადგილები, გამოცდის ვადები, დაშვების პირობები, საგამოცდო თემატიკა ლიტერატურის ჩამონათვალით და შეფასების კრიტერიუმები ქვეყნდება თესაუ-ს ვებგვერდზე http://www.tesau.edu.ge/

მაგისტრანტსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის ვალდებულებითი ურთიერთობები წესრიგდება შესაბამისი ხელშეკრულებით. მაგისტრანტი ვალდებულია, გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული/ფინანსური რეგისტრაცია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები;
- თელავის უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tesau.edu.ge/
- საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები

